საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1/534

ქ. თელავი **„30" „08" 2017 წ.**

2017-2018 სასწავლო წლისათვის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებისათვის სასწავლო გრაფიკის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის - წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, თესაუ-ს ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოს დებულებების, უნივერსიტეტის რექტორის 2017 წლის 25 აგვისტოს №1/530 ბრძანების, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებისა (30/08/2017წ; №21) და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის შალვა ჭკადუას სამსახურებრივი ბარათის (29/08/2017წ; №984966) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2017-2018 სასწავლო წლისათვის დამტკიცდეს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებისათვის სასწავლო გრაფიკი:
   ა. 2017-2018 სასწავლო წელი დაიწყოს 2017 წლის 25 სექტემბერს და დასრულდეს 2018 წლის 22 ივნისს;
   ბ. სემესტრების ხანგრძლივობა განისაზღვროს შემდეგი სახით:
   - I სემესტრი დაიწყოს 2017 წლის 25 სექტემბერს და დასრულდეს 2018 წლის 2 თებერვალს;
   - II სემესტრი დაიწყოს 2018 წლის 12 თებერვალს და დასრულდეს 2018 წლის 22 ივნისს;

გ. სესიები ჩატარდეს შემდეგი გრაფიკით:

- ზამთრის სესიები დაიწყოს 2018 წლის 8 იანვარს და დასრულდეს 2018 წლის 19 იანვარს;
- დამატებითი სააგამოცდო პერიოდი განისაზღვროს 2018 წლის 19 იანვრიდან 2018 წლის 30 იანვრის ჩათვლით;
- ზაფხულის სესიები დაიწყოს 2018 წლის 28 მაისს და დასრულდეს 2018 წლის 8 ივნისს;
- დამატებითი სააგამოცდო პერიოდი განისაზღვროს 2018 წლის 8 ივნისიდან 2018 წლის 19 ივნისის ჩათვლით;

დ. ზამთრის არდადეგები დაიწყოს 2018 წლის 3 თებერვალს და დასრულდეს 2018 წლის 11 თებერვალს;

ე. ლექციის ხანგრძლივობა განისაზღვროს 50 წუთით, შესვენება 10 წუთით;

2. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას (მ.ბეჟანიშვილი) ბრძანების მიწოდება თესაუ–ს ფაკულტეტებზე, ხარისხის უზრუნველყოფისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურებთან;

3. დაევალოს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურს (ა. ღაღანიძე) წინამდებარე ბრძანების განთავსება თესაუ-ს ვებ-გვერდზე;

4. წინამდებარე ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს რექტორის მოადგილეს (ა. მოსიაშვილს);

5. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის საფინანსო სამსახურს;

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41).

უნივერსიტეტის რექტორი: /ირმა შიოშვილი/